



საქმე №1/ბ-204-14

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

28 მაისი, 2014 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

ნანა უნდილაშვილის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებლის: ანრი არსენიშვილის

ადვოკატის: მ. ბ.-ს

მსჯავრდებულის: ბ. ბ.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანრი არსენიშვილის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე **ბ. რ.-ს-ძე ბ.-ს**, დაბადებულის **XXXX** წლის **XX** ოქტომბერს, საქართველოს მოქალაქის (პირადი №**XXXXXXXXXXXX**), ნასამართლობის არმქონის, დაოჯახებულის, რეგისტრირებულის და ფაქტობრივად მცხოვრების **ყ.-ს** რაიონის სოფელ **შ.-ში**, მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **ბ. ბ.-მ** ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 24 ნოემბერს, ღამის საათებში, **ა.-ს** საავტომობილო გზის 82-ე კილომეტრზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა **ბ. ბ.-მა**, რომელიც მართავდა **გ. ღ.-ს** კუთვნილ „**XXXX**“-ის მარკის ავტომობილს, სახ. ნომრით – **XXX – XXX**, დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შეეჯახა ხეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა ავტომობილში მყოფი **გ. ღ.**

აღნიშნული ქმედებით **ბ. ბ.-მ** ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული;

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენით:

ბ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, შეეცვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 6 (ექვსი) წელი; მსჯავრდებულ **ბ. ბ.-ს** სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2013 წლის 24 ნოემბრიდან 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდი და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

ბ. ბ.-ს დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად - 3 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება;

ბ. ბ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო, გაუქმდა;

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **ანრი არსენიშვილმა**.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ **ბ. ბ.-ს** მიმართ დანიშნული სასჯელის შეცვლას და უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას. სააპელაციო პალატის სხდომაზე აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა, მსჯავრდებულს დანიშნული პირობითი სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორის ანრი არსენიშვილის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა რა გასაჩივრებული განაჩენი, თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ, შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. მსჯავრდებულ **ბ. ბ.-ს** დანაშაულებრივი ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლის და მოწმეების: ბ. ლ.-ს, ბ. თ.-ს, ვ. გ.-ს, ნ. თ.-ს, გ. კ.-ს ჩვენებებით, ბრალდებულ ბ. ბ.-ს ჩვენებებით, კომპლექსური ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის №XXX/ტ, XXX/ა დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXXXX დასკვნით, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის №XXXXXXXXX დასკვნით, ოქმით ალკოტესტით შემოწმების შესახებ, ტანსაცმლის დათვალიერების ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დანართი სქემით და ფოტოცხრილით და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით პალატას დადგენილად მიაჩნია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული მტკიცებულებები, საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე, ვინაიდან მხარეები დაეთანხმნენ აღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტებსა და გარემოებებს.

რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არ არის სამართლიანი, ვინაიდან მსჯავრდებულ ბ. ბ.-სათვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულისათვის დანიშნული პირობითი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ეთანხმება პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ბ. ბ.-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის თაობაზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ბ. ბ., რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა. საქმეში არსებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით და თანდართული ფოტოცხრილით დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი და მძღოლის მიერ ავტომობილის უსაფრთხო მართვის ხელისშემშლელი რაიმე ობიექტური გარემოება. დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილის საავტომობილო გზა არის მოასფალტებული, მშრალი საფარით, მასზე რაიმე დეფექტები არ აღინიშნება. მაგრამ პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბ. ბ. დაზარალებულის კუთვნილ ავტომანქანას მართავდა მთვრალ მდგომარეობაში, რაც უდავოდ წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევათა დადგომის გავრცელებულ რისკ-ფაქტორს და რომლის თავიდან აცილებაც სახელმწიფოს სწორი სამართლებრივი პოლიტიკის ნაწილია. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნულმა გარემოებამ უდავოდ ასახვა უნდა ჰპოვოს განაჩენში არა მარტო მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაზე, არამედ მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამ თვალსაზრისით პალატა სრულად იზიარებს და ეთანხმება პროკურორის სააპელაციო საჩივარში აპელანტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მთვრალ მდგომარეობაში მართვის დროს მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის, რასაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, დანიშნულ სამართლიან სასჯელს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი პრევენციის გატარების კუთხით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა პირთა მხრიდან მსგავსი ხასიათის დანაშაულთა ჩადენა.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და

დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მართალია, მსჯავრდებული **ბ. ბ.** აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და მისი წარსული ცხოვრება არ არის შებღალული, მაგრამ პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია, რაზეც ამ უკანასკნელს გააჩნია პრეტენზია მსჯავრდებულის მიმართ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენში მსჯავრდებულ **ბ. ბ.-ს** მიმართ ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი და მსჯავრდებულს დანიშნული პირობითი სასჯელი უნდა შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორის ანრი არსენიშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

ცვლილება იქნეს შეტანილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენში;

ბ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით. მასვე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლის ვადით;

მსჯავრდებულ **ბ. ბ.-ს** თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს 2014 წლის 28 მაისიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო - 2013 წლის 24 ნოემბრიდან 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდი.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ **ბ. ბ.-ს** მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმებულია;

ნივთიერი მტკიცებულება - შავი ფერის სპორტული შარვალი, მოლურჯო ფერის მოკლესახელოიანი მაისური, მონაცრისფრო სპორტული ჯემპერი, რომელიც ინახება **ყ.-ს**

რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დაზარალებულის ოჯახს.

ნივთიერი მტკიცებულება - ავტომანქანა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№32ა), მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

გ. კახეთელიძე